საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„თოხნური“

„თოხნური“, უძველესი ქართული ხალხური მრავალხმიანი შრომის სიმღერა. მღერიან თოხნის დროს. ჩვენამდე მოღწეული თ. ორ, სამ და ოთხხმიანია. ასრულებენ მამაკაცები, ზოგჯერ – ორი გუნდი ერთიმეორის შენაცვლებით. ორ და სამხმიანი თ. გვხვდება აღმ. საქართველოში ოთხხმიანი (ნადურის ან ყანურის სახელწოდებით) – გურიასა და აჭარაში. მეტრის, რიტმისა და კილოს მხრივ მრავალფეროვანია; ხშირად ერთ თ-შიც შეინიშნება მეტრისა და კილოს მონაცვლეობა. პოეტური ტექსტი იმპროვიზებულია, დამოკიდებულია სიმღერის დამწყებზე. თ. მხნე და ხალისიანი სიმღერაა, მთავრდება უნისონსა და კვინტაზე, იშვიათად – კვარტაზე.

ლიტ.: ა ხ ო ბ ა ძ ე ვლ., ქართული (აჭარული) ხალხური სიმღერები, თბ., 1961; მ ა მ ა ლ ა ძ ე თ., შრომის სიმღერები კახეთში, თბ., 1963.

გ. ჩხიკვაძე